"დამტკიცებულია"
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი

______________ ტეფნაძე

14 07 2025

დადგენილება № 05/06

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

# საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა

ძირითადი ასლი

# 1 სარჩევი

1 სარჩევი ... 2
i. ცვლილებები ... 3
ii. ცვლილებების ისტორია ... 4
iii. მოქმედი გვერდების სია ... 5
2 დოკუმენტაციის კონტროლი ... 6
3 ძირითადი ნაწილი ... 7
მუხლი 1. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ძირითადი პრინციპები ... 7
მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა ... 8
4 დანართები ... 11
4.1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი ... 11
4.2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი ... 15
4.3 აკადემიური/მოწვეული პერსონალის და სასწავლო კურსის შეფასების კითხვარი ... 19
4.4 პროფესიული განათლების მასწავლებლის და მოდულის შეფასების კითხვარი ... 22
4.5 მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასების კითხვარი ... 25

# i. ცვლილებები

ცვლილების შეტანა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და რექტორის მონაწილეობით. შეცვლილი წესი დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს. დაუშვებელია ცვლილების განხორციელება ზემოაღნიშნული პროცედურის დარღვევით.

| შედგენილია: | დამტკიცებულია: |
|---|---|
| ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური | რექტორი |
| | |
| თარიღი: | თარიღი: |
| | |

| ამოღებული გვერდი | | | | დამატებული გვერდი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| თავი | გვერდი | ცვლილება | თარიღი | თავი | გვერდი | ცვლილება | თარიღი |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |

-

## ii. ცვლილებების ისტორია

| ცვლილების № | ცვლილების საფუძველი | შეცვლილი გვერდები | თარიღი | ცვლილების ინიციატორი |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |

# iii. მოქმედი გვერდების სია

| თავი | გვერდი | ცვლილება | თარიღი | | თავი | გვერდი | ცვლილება | თარიღი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 0 | 1 | 0 | თებერვალი 2021 | | | | | |
| 1 | 2 | 0 | თებერვალი 2021 | | | | | |
| i | 3 | 0 | თებერვალი 2021 | | | | | |
| ii | 4 | 0 | თებერვალი 2021 | | | | | |
| iii | 5 | 0 | თებერვალი 2021 | | | | | |
| 2 | 6 | 0 | თებერვალი 2021 | | | | | |
| 3 | 7 | 0 | თებერვალი 2021 | | | | | |
| 3 | 8 | 0 | თებერვალი 2021 | | | | | |
| 3 | 9 | 0 | თებერვალი 2021 | | | | | |
| 3 | 10 | 0 | თებერვალი 2021 | | | | | |
| 4 | 11 | 0 | თებერვალი 2021 | | | | | |
| 4 | 12 | 0 | თებერვალი 2021 | | | | | |
| 4 | 13 | 0 | თებერვალი 2021 | | | | | |
| 4 | 14 | 0 | თებერვალი 2021 | | | | | |
| 4 | 15 | 0 | თებერვალი 2021 | | | | | |
| 4 | 16 | 0 | თებერვალი 2021 | | | | | |
| 4 | 17 | 0 | თებერვალი 2021 | | | | | |
| 4 | 18 | 0 | თებერვალი 2021 | | | | | |
| 4 | 19 | 0 | თებერვალი 2021 | | | | | |
| 4 | 20 | 0 | თებერვალი 2021 | | | | | |
| 4 | 21 | 0 | თებერვალი 2021 | | | | | |
| 4 | 22 | 0 | თებერვალი 2021 | | | | | |
| 4 | 23 | 0 | თებერვალი 2021 | | | | | |
| 4 | 24 | 0 | თებერვალი 2021 | | | | | |
| 4 | 25 | 0 | თებერვალი 2021 | | | | | |
| 4 | 26 | 0 | თებერვალი 2021 | | | | | |

# 2 დოკუმენტაციის კონტროლი

დოკუმენტაციის კონტროლი ხორციელდება ხარისხის სახელმძღვანელოში გაწერილი წესებისა და პროცედურების მიხედვით. ამ წესებისა და პროცედურების მიზანია შეიქმნას სისტემა, რომელიც თანამშრომლებს მისცემს დოკუმენტების ადვილად ამოცნობისა და გამოყენების საშუალებას ორგანიზაციაში. ყველა კონტროლირებადი დოკუმენტი უნდა შეიქმნას და შეინახოს იმ ფორმატითა და წესებით, რომელიც გაწერილია ხარისხის სახელმძღვანელოში. ეს შექმნის პროცედურების სისტემას, რომელშიც დოკუმენტების შექმნა, განახლება და გავრცელება მოხდება ადვილად.

## დოკუმენტების დასაგზავნი სია

| ორგანიზაცია | ფორმატი | ასლის ნომერი |
|---|---|---|
| ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური | ბეჭდური | ძირითადი ასლი |
| ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური | ელექტრონული | ელექტრონული ვერსია |
| | | |
| | | |

# 3 ძირითადი ნაწილი

## მუხლი 1. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ძირითადი პრინციპები

1. შპს - „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში" (შემდგომში - „დაწესებულება"), საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ნერგავს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, რომელიც მოიცავს პროცესების შეფასებას, ხარვეზების იდენტიფიცირებას, მათი გადაჭრის გზების დასახვასა და განვითარებას.
2. ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების, მოდულების, სასწავლო კურსების, საგნების, სასწავლო პროცესის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების, ადმინისტრაციის ფუნქციონირების, ხარისხის სისტემატური შეფასების გზით.
3. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ეფექტურად განხორციელების მიზნით დაწესებულება შეიმუშავებს შეფასების ფორმებს, რომელიც ცვალებადი და განვითარებადია.
4. ხარისხის მექანიზმების დანერგვასა და აღსრულებას უზრუნველყოფს დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია მიმდინარე პროცესების ობიექტურად წარმართვაზე.
5. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით გათვალისწინებული შეფასების მიზანი არ არის კონტროლი, არა მეცადინეობების ჩატარებისა თუ გაცდენის აღრიცხვა, არამედ მოიცავს პროცესების შინაარსობრივ შეფასებას სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით.
6. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება მოიცავს ძირითად აქტივობებს:
   - 6.1. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში სასწავლო კურსების/საგნების/მოდულების შეფასება;
   - 6.2. სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ასევე პროფესიულის განათლების მასწავლებლის/მასწავლებელთა შეფასება;
   - 6.3. სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების მიერ დაწესებულებაში არსებული კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო მიზნებისათვის გამოსაყენებელი მატერიალური რესურსის მიმართ კმაყოფილების დადგენა;
   - 6.4. ამ პუნქტის „6.1", „6.2", „6.3" ქვეპუნქტებით განსაზღვრული ინფორმაციის მობილიზება და ანალიზი. შედეგად პრობლემების, ხარვეზების იდენტიფიცირება;
   - 6.5. ამ პუნქტის „6.4" ქვეპუნქტის განხორციელების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით განმავითარებელი აქტივობების განსაზღვრა-დაგეგმვა;
   - 6.6. ამ პუნქტის „6.5" ქვეპუნქტის განხორციელების შედეგად განსაზღვრული აქტივობების შესრულება.
7. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასება ხდება სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვით შესაბამისი კითხვარების შევსების გზით.
8. დაწესებულების საქმიანობის განვითარებისთვის იგეგმება ადმინისტრაციის პერსონალის შეფასება, რომელშიც მონაწილეობას იღებენ როგორც სტუდენტები/პროფესიული სტუდენტები, ასევე დაწესებულების სხვა წევრიც.
9. კითხვარების შევსება კონფიდენციალურია, რათა შეძლებისდაგვარად გარანტირებული იყოს ობიექტურობა.

10. ეს დოკუმენტი გახლავთ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ძირითადი პრინციპები, რომლის საფუძველზე დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს და გაწერს კონკრეტულ გეგმას და რექტორის წინაშე წარადგენს დასამტკიცებლად.
11. ამ წესის საფუძველზე და ხარისხის მექანიზმების დანერგვის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ქმნის სხვადასხვა სახის ინსტრუმენტებს, მათ შორის კითხვარებს, გზამკვლევებს, რეკომენდაციებს, მეთოდოლოგიას.
12. დაწესებულების ნებისმიერი წევრი ვისაც კი ეხება ამ წესის საფუძველზე შემუშავებული ინსტრუმენტების გამოყენება ვალდებულია გამოიყენოს და დაეყრდნოს მათ.
13. ამ დოკუმენტში ცვლილებები და დამატებები შესაძლებელია მმართველი საბჭოს დადგენილების საფუძველზე.

## მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა

1. უნივერსიტეტი ნერგავს და ავითარებს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემას, რომლის მიზანია უზრუნველყოფილ იქნას შიდა შემოწმების სისტემა, რომელიც ამოწმებს:
   1.1. სათანადოდ არის თუ არა დაგეგმილი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გზები;
   1.2. რამდენად სამართლიანია სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება;
   1.3. რამდენად ადეკვატურია სწავლის შედეგების მიღწევისათვის განსაზღვრული ადამიანური და მატერიალური სასწავლო რესურსი.
2. შიდა შემოწმების მიდგომები სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებელთა დახმარებაზე ორიენტირებული პროცესია, რომელიც ატარებს თანამშრომლობით ხასიათს სტუდენტების საჭიროებების გამოვლენისა და პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.
3. შიდა შემოწმების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება/ანალიზი.
4. უნივერსიტეტის სტრუქტურაში მმართველ რგოლად განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც გეგმავს და ახორციელებს როგორც უნივერსიტეტის ერთიანი საქმიანობის მართვითი პროცესების შეფასება-განვითარებას, ასევე ცალკეულად საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება-განვითარებას, კერძოდ,
   4.1. მართავს დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას;
   4.2. მოქმედებს, როგორც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან საკონტაქტო ერთეული, გარე შეფასების/მონიტორინგის ღონისძიებებთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით;
   4.3. კოორდინირებას უწევს კადრების მომზადების და განვითარების საჭიროებებს სტუდენტის შეფასებასთან, სწავლება-სწავლის მეთოდებთან დაკავშირებით და სხვა ასპექტებს;
   4.4. უზრუნველყოფს შიდა შემოწმების სისტემის დანერგვა-განხორციელებას და მის გაუმჯობესებას, რისთვისაც ახორცილებს შიდა შემოწმების პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას;
   4.5. უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში და შიდა შემოწმებისას გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებელი განმავითარებელი აქტივობების დაგეგმვა-განხორციელებას.

5. საგანმანათლებლო პროგრამების რეგულარული მონიტორინგის, შეფასებისა და რევიზიის მიზანია პროგრამის სათანადოდ განხორციელების უზრუნველყოფა და სტუდენტების/ პროფესიული სტუდენტების მხარდამჭერი და ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნა. რეგულარული მონიტორინგი ნიშნავს საგანმანთლებლო პროგრამით განსაზღვრული თითოეული სასწავლო კურსის/ საგნის/ მოდულის შეფასებას როგორც სტუდენტის/ პროფესიული სტუდენტის მიერ, ასევე განმახორციელებელი პერსონალის მიერ.

6. სასწავლო კურსის/ საგნის/ მოდულის შეფასება მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის, სასწავლო კურსის/საგნის/მოდული სასწავლო კურსის შინაარსის, სწავლება-სწავლის მეთოდების, სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის მიღწევის შეფასების, გამოყენებული სასწავლო და მატერიალური რესურსის ადეკვატურობის შემოწმებასა და ხარვეზების გამოვლენას. განმახორციელებელი პირის მიერ კი ამავე სასწავლო კურსით/საგნით/მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების, სწავლება-სწავლის მეთოდების, სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სასწავლო დატვირთვის, სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემისა და სხვა საკითხების რელევანტურობის დადგენას;

7. საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელების პროცესის შეფასება არამხოლოდ პროგრამის შინაარსთან და სასწავლო რესურსთან დაკავშირებული პროცესია, არამედ ის ადგენს სტუდენტების/ პროფესიული სტუდენტების კმაყოფილებას უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებიდან მიღებული სერვისების შესახებ, სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის აქტივობების და მათი მოცემულ პროგრამის მიზნებთან შესაბამისობის შესახებ;

8. პროგრამების შეფასება და რევიზია ხორციელდება პერიოდულად სტუდენტების/ პროფესიული სტუდენტების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. ხდება მიღებული ინფორმაციის გაანალიზება და პროგრამის მოდიფიცირება/ადაპტირება მისი განახლების უზრუნველსაყოფად. განახლებული პროგრამა ექვემდებარება საჯაროობას, გამოქვეყნებას და საჭიროების შემთხვევაში გარე შეფასებას;

9. საგანმანათლებლო პროგრამის მიმდინარეობისას გამოიყენება შესაბამისი კითხვარები (იხ. დანართები), რომელთა შევსებაში მონაწილეობენ სტუდენტები/პროფესიულ სტუდენტები, განმახორციელებელი პერსონალის და უნივერსიტეტის სხვა პერსონალის შეფასებისათვის, (ნებისმიერი სტრუქტურული ერთეულის) თუმცა პროგრამის შეფასების სხვა მიდგომებიც განიხილება, კერძოდ:

   9.1. კონკრეტული პროგრამის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა მონაწილეობით ფოკუსურ ჯგუფში (სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 30%) საკითხების განხილვა. სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შერჩევისას გასათვალისწინებელია როგორც მაღალი მოსწრების, ასევე დაბალი მოსწრების სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი. სასურველია რამდენიმე ჯგუფის არსებობის შემთხვევაში ფოკუსური ჯგუფის სხვადასხვა ჯგუფებიდან დაკომპლექტება.
   9.2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის პირადი ინტერვიუ კონკრეტულ სტუდენტთან/პროფესიულ სტუდენტებთან;
   9.3. ფოკუსური ჯგუფის ჩატარება ერთიდაიმავე სტუდენტთა/ პროფესიული სტუდენტთა ჯგუფის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებელთან;
   9.4. სასწავლო პროცესის დროს მეცადინეობებზე დასწრება, პროცესზე ჩანაწერების გაკეთება;
   9.5. ინდივიდუალური შემთხვევების დროს შესაძლებელია სხვა მიდგომების განხილვაც.

10. კითხვარების ან/და სხვადასხვა მეთოდებით მიღებული ინფორმაცია დამუშავდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ და გამოკვეთილი საკითხები, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები წარედგინება შესაბამის ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად. განხილვის

შედეგად განისაზვრება საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილების საჭიროება ან სხვა აქტივობა, რომელსაც შეიმუშავებს და გაწერს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

11. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული განმავითარებელი აქტივობების წინადადება წარედგინება რექტორს დასამტკიცებლად.

12. განმავითარებელი აქტივობები შესაძლოა მოიცავდეს საგანმანათლებლო პროგრამის არსებით ცვლილებას, რაც ნიშნავს 30% მეტი სასწავლო კურსთა/ საგანთა ცვლილებას, ან კონკრეტული სასწავლო კურსის/საგნის/ამოღებას/დამატებას/გაძლიერებას, სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა დატვირთვის ცვლილებას, მატერიალური ან/და სასწავლო რესურსის ცვლილებას. აღნიშნული საკითხები და პროცედურები რეგულირდება დაწესებულების შესაბამისი აქტით. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული პროგრამის შემთხვევაში შეიძლება ითვალისწინებდეს სხვა ტიპის განმავითარებელ აქტიობას.

13. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებში/საგნებში/მოდულებში განსაზღვრული სწავლება-სწავლის მეთოდებთან და სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებასთან დაკავშირებით გამოკვეთილი საკითხების და საჭიროებების შესახებ ინფორმაციას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წერილობით აწვდის განმახორციელებელ პირს და რეკომენდაციის სახით თხოვს არსებული ხარვეზების გათვალისწინებას. აღნიშნული საკითხები ფაკულტეტის საბჭოზე განიხილება როგორც მიწოდებული ინფორმაცია, რადგან განმახორციელებელი პერსონალი, აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, სარგებლობს უფლებით განავითაროს სწავლება-სწავლისა და სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების მიდგომები.

14. განმახორციელებელი პერსონალი, ისევე როგორც უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ სწავლება-სწავლის მეთოდებისა და სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასები ნაწილში შემდეგი პრინციპების დაცვა:

14.1. სტუდენტისათვის/პროფესიული სტუდენტისათვის წინასწარ არის ცნობილი არსებული ტესტირებისა და გამოცდების მეთოდები და იგი იღებს მხარდაჭერას ამ სფეროში თავისი უნარების განვითარებისათვის;

14.2. შეფასების კრიტერიუმები და მეთოდები, ისევე როგორც ნიშნის კრიტერიუმები გამოქვეყნებულია და ხელმისაწვდომია წინასწარ;

14.3. შეფასება საშუალებას აძლევს სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს მოახდინოს მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევის დონის დემონსტრირება.

14.4. სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი იღებს უკუკავშირს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო პროცესთან დაკავშირებითაც იძლევა რჩევებს;

14.5. სწავლება-სწავლის მეთოდები ორიენტირებულია სწავლის შედეგების მიღწევაზე;

14.6. შეფასება თანამიმდევრულია, სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის მიმართ და ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად;

14.7. სტუდენტებისთვის/პროფესიული სტუდენტისათვის შემუშავებულია აპელაციის ფორმალური პროცედურა.

# 4 დანართები

## 4.1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი

### საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი

უნივერსიტეტი იყენებს სტუდენტთა გამოკითხვის მექანიზმს, როგორც სწავლა-სწავლების ინდიკატორების გაზომვის ერთ-ერთ საშუალებას. სტუდენტთა გამოკითხვა იძლევა მნიშვნელოვან ინფორმაციას სასწავლო კურსის სტრუქტურის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ გამოყენებული სწავლების მეთოდების, სასწავლო მასალებისა და სხვა ასპექტების თაობაზე.

შეფასებისას 4 არის დადებითი, 0 - უარყოფითი.

გამოკითხვა ანონიმურია.

1. რომელ პროგრამაზე სწავლობთ? *

1. საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაცია - საბაკალავრო პროგრამა
2. საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაცია(ინგლისურენოვანი) - საბაკალავრო პროგრამა
3. საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია და ტექნოლოგიები - სადოქტორო პროგრამა
4. საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაცია - სამაგისტრო პროგრამა
5. საფრენი აპარატების დაპროექტება და წარმოება - სამაგისტრო პროგრამა
6. საჰაერო მოძრაობის სისტემების ტექნიკური ექსპლუატაცია - სამაგისტრო პროგრამა
7. ინფორმაციული სისტემები ავიაციაში - სამაგისტრო პროგრამა
8. საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაცია - საბაკალავრო პროგრამა
9. საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაცია(ინგლისურენოვანი) - საბაკალავრო პროგრამა
10. საჰაერო მოძრაობის მართვის სისტემების ტექნიკური ექსპლუატაცია - საბაკალავრო პროგრამა
11. ინფორმაციული სისტემები ავიაციაში - საბაკალავრო პროგრამა
12. საფრენი აპარატების დაპროექტება და წარმოება - საბაკალავრო პროგრამა
13. ფრენების უზრუნველყოფის მიწისზედა რადიოტექნიკური საშუალებების ტექნიკური ექსპლუატაცია - ...
14. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - სამაგისტრო პროგრამა
15. ავიაციის ფინანსები - სამაგისტრო პროგრამა
16. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი - საბაკალავრო პროგრამა
17. ფინანსები - საბაკალავრო პროგრამა

2. ხართ თუ არა დასაქმებული? დადებითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კვირაში რამდენი საათი მუშაობთ. *

- არაუმეტეს 20 საათი
- 20-დან 40 საათამდე
- 40 საათზე მეტი
- მე არ მაქვს სამსახური

3. დღის რომელ ნახევარში სწავლობთ? *

- დილა
- საღამო

4. საშუალოდ კვირაში რამდენი საათი გჭირდებათ საშინაო დავალების შესასრულებლად? *

- 5 საათზე ნაკლები
- 5-10 საათი
- 10-15 საათი
- 15 საათზე მეტი

5. შეაფასეთ, რამდენად კარგად ფლობენ ფაკულტეტის წარმომადგენლები ინფორმაციას თქვენი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ. *

- 4
- 3
- 2
- 1
- არ მაქვს პასუხი

6. როგორაა უზრუნველყოფილი ფაკულტეტის მიერ თქვენს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების ხარისხი? *

| 0 | 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|---|
| ○ | ○ | ○ | ○ | ○ |

7. რამდენად გულისხმიერები არიან ფაკულტეტის წარმომადგენლები სტუდენტების მიმართ? *

0 ○ 1 ○ 2 ○ 3 ○ 4 ○

8. როგორ შეაფასებდით ლექტორების/ინსტრუქტორების უმრავლესობის პროფესიონალიზმს თქვენს პროგრამაზე? *

0 ○ 1 ○ 2 ○ 3 ○ 4 ○

9. მონაწილეობდით თუ არა გაცვლით პროგრამაში? *

- ○ ერთხელ
- ○ ორჯერ ან მეტჯერ
- ○ არ მიმიღია მონაწილეობა

10. გსურთ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღება? *

- ○ დიახ
- ○ არა

11. მონიშნეთ ქვემოთ მოცემული წინადადებები თქვენი პრიორიტეტების შესაბამისად. *

- ☐ ვისურვებდი მეტი ლექცია ტარდებოდეს საღამოობით.
- ☐ ვისურვებდი სასწავლებელი იძლეოდეს მეტ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის საშუალებას.
- ☐ ვისურვებდი უცხო ენების მეტ არჩევითობას საგანმანათლებლო პროგრამაში.
- ☐ ვისურვებდი მეტი ყურადღება ეთმობოდეს სპეციალიზაციის საგნებს.
- ☐ ვისურვებდი მეტი ყურადღება ეთმობოდეს ზოგად საგნებს.
- ☐ ვისურვებდი მეტი ყურადღება ეთმობოდეს ცალკეულ საგნებში დამოუკიდებელ შრომაზე დაფუძნებუ...

12. გაუწევდით თუ არა რეკომენდაციას თქვენს საგანმანათლებლო პროგრამას? *

- ◯ დიახ
- ◯ არა

13. მთლიანობაში როგორ შეაფასებდით სასწავლო პროგრამას? *

| 0 | 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|---|
| ◯ | ◯ | ◯ | ◯ | ◯ |

14. ჩამოთვალეთ პროგრამის ძლიერი მხარეები. *

Short answer text

15. ჩამოთვალეთ პროგრამის სუსტი მხარეები. *

Short answer text

16. რომელი სასწავლო კურსი გსურთ რომ გაძლიერდეს პროგრამაში? *

Short answer text

17. რა სასწავლო კურსებია საუკეთესო თქვენს პროგრამაზე და რატომ თვლით ასე? *

Short answer text

18. რომელ სასწავლო კურსებს შეაფასებდით ყველაზე უარყოფითად თქვენს პროგრამაში და რატომ თვლით ასე? *

Short answer text

19. რა რეკომენდაციები გაქვთ პროგრამის ხელმძღვანელისადმი? *

Short answer text

## 4.2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი

# პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი

უნივერსიტეტი იყენებს პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის მექანიზმს, როგორც სწავლა-სწავლების ინდიკატორების გაზომვის ერთ-ერთ საშუალებას. პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვა იძლევა მნიშვნელოვან ინფორმაციას სასწავლო კურსის სტრუქტურის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ გამოყენებული სწავლების მეთოდების, სასწავლო მასალებისა და სხვა ასპექტების თაობაზე.

შეფასებისას 4 არის დადებითი, 0 - უარყოფითი.

გამოკითხვა ანონიმურია.

1. რომელ პროგრამაზე სწავლობთ? *

1. საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაცია(CPL-A)
2. საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაცია(CPL-H)
3. საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება(B1.1)
4. საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება(B2)

2. ხართ თუ არა დასაქმებული? დადებითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კვირაში რამდენი საათი მუშაობთ. *

- არაუმეტეს 20 საათი
- 20-დან 40 საათამდე
- 40 საათზე მეტი
- მე არ მაქვს სამსახური

3. დღის რომელ ნახევარში სწავლობთ? *

- დილა
- საღამო

4. საშუალოდ კვირაში რამდენი საათი გჭირდებათ საშინაო დავალების შესასრულებლად? *

- 5 საათზე ნაკლები
- 5-10 საათი
- 10-15 საათი
- 15 საათზე მეტი

5. შეაფასეთ, რამდენად კარგად ფლობენ ფაკულტეტის წარმომადგენლები ინფორმაციას თქვენი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ. *

- 4
- 3
- 2
- 1
- არ მაქვს პასუხი

6. როგორაა უზრუნველყოფილი ფაკულტეტის მიერ თქვენს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების ხარისხი? *

0 1 2 3 4

7. რამდენად გულისხმიერები არიან ფაკულტეტის წარმომადგენლები პროფესიული სტუდენტების მიმართ? *

0 1 2 3 4

8. როგორ შეაფასებდით პროფესიული მასწავლებლების/ინსტრუქტორების უმრავლესობის პროფესიონალიზმს თქვენს პროგრამაზე? *

0 1 2 3 4

9. გაუწევდით თუ არა რეკომენდაციას თქვენს საგანმანათლებლო პროგრამას? *

- დიახ
- არა

10. მთლიანობაში როგორ შეაფასებდით საგანმანათლებლო პროგრამას? *

0 1 2 3 4

11. ჩამოთვალეთ პროგრამის ძლიერი მხარეები. *

Short answer text

12. ჩამოთვალეთ პროგრამის სუსტი მხარეები. *

Short answer text

13. რომელი მოდული გსურთ, რომ გაძლიერდეს პროგრამაში? *

Short answer text

14. რომელი მოდულებია საუკეთესო თქვენს პროგრამაზე და რატომ თვლით ასე? *

Short answer text

15. რომელ მოდულს შეაფასებდით ყველაზე უარყოფითად თქვენს პროგრამაში და რატომ თვლით ასე? *

Short answer text

16. რა რეკომენდაციები გაქვთ პროგრამის ხელმძღვანელისადმი? *

Short answer text

## 4.3 აკადემიური/მოწვეული პერსონალის და სასწავლო კურსის შეფასების კითხვარი

# სასწავლო კურსის/მოდულის შეფასების კითხვარი

უნივერსიტეტი იყენებს სტუდენტთა გამოკითხვის მექანიზმს, როგორც სწავლების/სწავლის ინდიკატორების გაზომვის ერთ-ერთ საშუალებას. სტუდენტთა გამოკითხვა იძლევა მნიშვნელოვან ინფორმაციას სასწავლო კურსის სტრუქტურის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ გამოყენებული სწავლების მეთოდების, სასწავლო მასალებისა და სხვა ასპექტების თაობაზე.

შეფასებისას 4 არის დადებითი, 0 - უარყოფითი.

გამოკითხვა ანონიმურია.

1. რამდენად კმაყოფილი ხართ ლექტორის ახსნისა და კომუნიკაციის უნარებით? *

- ○ 4
- ○ 3
- ○ 2
- ○ 1
- ○ 0

2. რამდენად კარგად პასუხობდა ლექტორი თქვენ მიერ დასმულ შეკითხვებს? *

- ○ 4
- ○ 3
- ○ 2
- ○ 1
- ○ 0

3. როგორ შეაფასებთ არასალექციო დროს თქვენს კომუნიკაციას ლექტორებთან? *

- ○ 4
- ○ 3
- ○ 2
- ○ 1
- ○ 0

4. საინტერესო და გასაგები იყო თუ არა თქვენთვის ლექტორის მიერ წარმოდგენილი მასალები? *

- 4
- 3
- 2
- 1
- 0

5. ობიექტური იყო თუ არა ლექტორი სტუდენტების შეფასების დროს? *

- 4
- 3
- 2
- 1
- 0

6. ღებულობდით თუ არა განმარტებებს ლექტორის მხრიდან თქვენი ნაშრომის შეფასებებზე? *

- ყოველთვის ვღებულობდი და განმარტებას ვეთანხმებოდი
- ყოველთვის ვღებულობდი და განმარტებას არ/ნაწილობრივ ვეთანხმებოდი
- განმარტებას ვღებულობდი საჭიროების/მოთხოვნის შემთხვევაში
- განმარტებებს ვერ ვიღებდი

7. სააუდიტორო დატვირთვისას შესრულებული სამუშაო: *

- შეესაბამება სასწავლო კურსის მიზანსა და ამოცანებს
- არ შეესაბამება სასწავლო კურსის მიზანსა და ამოცანებს
- აუდიტორიაში არანაირი სამუშაო არ ტარდება

8. როგორი რეგულარულობით ახდენდა ლექტორი დავალებების/გამოკითხვის შემოწმებას/შეფასებას? *

- ყოველ შეხვედრაზე
- კვირაში ერთხელ
- სემესტრში 5-7-ჯერ
- არ ამოწმებს

9. გაქვთ თუ არა სურვილი გაიაროთ სხვა საგანი აღნიშნულ ლექტორთან ერთად? *

- მაქვს სურვილი
- არ მაქვს სურვილი

10. ურჩევდით თუ არა სხვა სტუდენტებს აღნიშნული ლექტორის საგნის არჩევას? *

- აუცილებლად ვურჩევდი
- თავს შევიკავებდი რჩევისაგან
- არ ვურჩევდი

11. გთხოვთ, მოკლედ აღწეროთ ლექტორთან, საგანთან, ადმინისტრაციასთან, უნივერსიტეტთან მუშაობის პროცესი (შენიშვნა/რეკომენდაცია/კმაყოფილება) *

Long answer text

## 4.4 პროფესიული განათლების მასწავლებლის და მოდულის შეფასების კითხვარი

# Module Survey

Form description

Lecturer's name: *

Short answer text

1. How satisfied are you in refer to the lecturer's explanation and communication skills? *

- ○ 4
- ○ 3
- ○ 2
- ○ 1
- ○ 0

2. How well did the lecturer answer your questions? *

- ○ 4
- ○ 3
- ○ 2
- ○ 1
- ○ 0

3. How would you assess your communication with the lecturer outside the class? *

- ○ 4
- ○ 3
- ○ 2
- ○ 1
- ○ 0

4. How interesting and comprehensive were materials presented by the lecturer? *

- 4
- 3
- 2
- 1
- 0

5. Whether or not was the lecturer unbiased during student assessment? *

- 4
- 3
- 2
- 1
- 0

6. Whether on not did you receive lecturer's explanations over assessment of your work? *

- Always received explanations I agreed with
- Always received explanations I didn't/partially agreed with
- Received explanations on demand
- Didn't receive explanations

7. Activities performed during classwork: *

- Is relevant to aims and objective of educational course
- Is not relevant to aims and objective of educational course
- No activities performed during classwork

8. how often did the lecturer check/assess homework/oral surveys? *

- Every meeting
- Once a week
- 5-7 time during the semester
- Didn't check/assess

9. Would you like to take another subject with current lecturer? *

- Yes
- No

10. Would you recommend another student to choose subject of the current lecturer? *

- By all means
- Would refrain
- Wouldn't recommend

11. Please briefly describe work process with with the lecturer/administration (remark, recommendation, satisfaction) *

Long answer text

## 4.5 მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასების კითხვარი

### უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

ვინაიდან სასწავლო პროცესის ეფექტურად განხორციელებისათვის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს ძლიერი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობა წარმოადგენს, უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავს ინფრასტრუქტურის განახლებასა და სტუდენტთა მოთხოვნების შესაბამისად გარემოს გაუმჯობესებაზე, რისთვისაც მიმდინარეობს შესაბამისი ღონისძიებები.

აღნიშნული კვლევის მიზანია სტუდენტთა კმაყოფილების ინდიკატორების დადგენა და მათი ინტერესების შესახებ ინფორმაციის მოპოვება.

შეფასებისას 5 ქულა არის დადებითი, 0 - უარყოფითი.

გამოკითხვა ანონიმურია.

1. რამდენად კეთილმოწყობილია უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსები? *

| 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|---|
| ○ | ○ | ○ | ○ | ○ | ○ |

2. რამდენად ადაპტირებულია უნივერსიტეტი შშმ პირებისათვის? *

| 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|---|
| ○ | ○ | ○ | ○ | ○ | ○ |

3. რამდენად შეესაბამება აუდიტორიებში/ლაბორატორიებში არსებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის საჭირო მოთხოვნებს? *

| 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|---|
| ○ | ○ | ○ | ○ | ○ | ○ |

4. რამდენად კმაყოფილი ხართ ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით? *

| 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|---|
| ○ | ○ | ○ | ○ | ○ | ○ |

5. რამდენად საკმარისია ბიბლიოთეკაში არსებული კომპიუტერული ტექნიკა? *

| 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|---|
| ○ | ○ | ○ | ○ | ○ | ○ |

6. შეაფასეთ სპორტული ღონისძიებებისათვის განკუთვნილი მატერიალური ბაზა. *

| 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|---|
| ○ | ○ | ○ | ○ | ○ | ○ |

7. რამდენად კმაყოფილი ხართ ღია და დახურული  სტუდენტური სივრცეებით? *

| 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|---|
| ○ | ○ | ○ | ○ | ○ | ○ |

8. როგორ ფიქრობთ, რა სახის ღონისძიებების განხორციელება არის საჭირო? *

- ☐ ბიბლიოთეკის წიგნის ფონდის გაზრდა
- ☐ ტექნიკური ბაზის გაძლიერება
- ☐ სტუდენტური სივრცის გაუმჯობესება
- ☐ სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება
- ☐ პარკინგის გაუმჯობესება
- ☐ Other...

9. გთხოვთ, მოკლედ დააფიქსიროთ თქვენი მოსაზრება/ შენიშვნა/ სურვილი უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან დაკავშირებით და მისი განვითარების გზების შესახებ. *

Long answer text